ᲙᲕᲘᲠᲐ 25 ᲐᲠᲘᲚᲘ

ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ

№ 17 — ᲡᲐᲚᲐᲛᲣᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲘᲣᲛᲝᲠ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ.

ᲘᲜᲓᲝᲣᲠᲘ*) ᲛᲐᲒᲘ**)

*) შეიძლება ეს სიტყვა ,,ინდოელათაც'' ვთარგმნოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ეგრე სჯობია.

ეშმაკის ინტერვიუ.

შემწვარ ბატკანთან.

ვიცი, გეუცხოებათ შემწვარი ბატკნის ლაპარაკი, მაგრამ გარწმუნებთ, დიდი მჭევრმეტყველობა არც ცოცხალ ბატკანს ეხერხება ხოლო თავისი გარეგნული გამომეტყველებით შემწვარი უმეტეს შთაბეჭდილებას ახდენს ვიდრე ცოცხალი და მგრძნობიარე.

ბოქაულ ტყავაძეს მთლიანათ შეეწვა ფურნეში საალდგომოთ ოსი სტრაჟნიკისაგან ძღვნათ მოართმეული ბატკანი, ფეხ მოკეცით ფართე ფარფორის ხონჩაზე დაეწვინა, ხოლო საწყლათ დაღრეჭილ კბილებში მწვანილეულობა ჩაეკუმშა და წითელი კვერცხი ჩაედო.

— საცოდავო არსებავ! მივმართე მე ბატკანს.— ნეტავ რასა გრძნობ ახლა, ამ ძვირფასად მოართულ სუფრაზე? სად არის დედა შენი, მამა-შენი? სად არიან შენი ძმები, შენი დები?

მოხდა სასწაული! ჩამხმარი და ჩაბნელებული თვალები ბატკნისა დასველდენ, სიცოცხლის შუქით და სიყვარულის ღიმილით გაბრწყინდენ. მან, თითქოს მოატრიალა თვალის კაკლებიო, გადმომხედა და მიპასუხა:

— განა არ იცი, ბოროტო ადამიანო, განა არ იცი, რომ კიდევ მეკითხები?

მე დავამშვიდე საბრალო. ტანჯვის ცეცხლით დამწვარი არსება, ამოვაძვრე დიასახლისის მიერ გვერდში ჩარჭობილი ვერცხლის ჩანგალი და მივესაყვარლე.

— სადაური ხარ, პატარავ?

— ზემო ქართლიდან.

— მერმე აქ როგორ გაჩნდი?

— აქ ერთი კვირეა რაც ჩამომიყვანეს.

— ვინ ჩამოგიყვანა?

— ვიღაც თოფიანმა კაცმა. ის ჩვენი მეფეა. სოფელში რაც უნდა იმას შობა.

— შენ განა იმისას ცხოვრობდი?

— არა, გენაცვალე! ჩემი პატრონი თედორე გლეხია. ჩემი ძმები რამდენი ხანია მოიტაცეს თოფიანმა კაცებმა! დედა-ჩემი ვიღაც გრძელ-წვერა კაცმა წაიყვანა. მეც ბევრი ვიტირე, თედორეს შვილებმაც, დედა-ჩემმაც, მაგრამ იმასთან არაფერი გავიდა. ,,განა რომელ კანონში სწერია მე თქვენ მუქთად გილოცოთო'', ყვიროდა ის საშიშარი კაცი. გადაიდო ცხენზე და წაიყვანა. მას შემდეგ დავრჩი მარტოდ, რადგან მამა არა მყოლია, არც მინახავს და არც მახსოვს.

— როგორღა გადარჩი ასეთ ობლობას და ამდენ ტანჯვას, ბეჩავო?

— აცოცხლოს ღმერთმა თედორეს ოჯახობა! პატარა იმისი ბიჭები თავს მევლებოდენ. განუშორებლივ ჩემთან იყვენ: მაჭმევდენ, მასმევდენ, მარილს მალოკებდენ, მწვანე ბალახს მიზიდავდენ. ობლობას თითქმის ველარც კი ვგრძნობდი! აი სწორეთ ამ დროს მოგვიხდა ის თოფიანი კაცი. თედორეს დამუქრა: ,,გინდ ეგ ბატკანი გამატანე ქალაქში, გინდ შენ თითონ წაგიყვანო. მე იმან კატორღას გადამარჩინა და ნუ თუ საალდგომოთ ერთი თუმნის ძღვენი არ მივართვაო''.

— ჰმ!

— ბავშვებმა ტირილიც დაიწყეს, მაგრამ თურმე სხვა გზა არ იყო. ოჰ, რა კეთილი ხალხია პატარა კაცები! ნეტავ რისთვის კარგავენ სიბრალულს, როცა იზრდებიან და ვაჟკაცდებიან! მე იმათი ალერსი არასოდეს არ დამავიწყდება! ჩამსვეს ხურჯინში, თავი ზევით ამომაყოფინეს და წამიყვანეს, თითონაც არ ვიცოდი სადა და რისთვის.

— საცოდავი!..

— უწინ აქაც კარგათ დამიხვდენ. პატარა ბიჭებმა და გოგომ ათას ფრად შემღებეს, მწვანე ბალახს უხვათ მაძლევდენ, ხშირათ რუსულ ლაპარაკსაც კი მასწავლიდენ. კისერზე წითელი ლენტი გამიკეთეს, პატარა ზარა ჩამომკიდეს. გუშინ წინ საპნით ტანიც კი დამბანეს. თითონ მე მიკვირდა ჩემი აბრეშუმივით წმინდა და ხუჭუჭი თმების სისუფთავ-სილამაზე.

მე თვალებზე ცრემლი მომადგა. მაგრამ თავს ვიჭერდი, რადგან სხვა ჩემი თანამოტრაპეზენი ხშირათ მიჭვრეტდენ და მრცხვენოდა იმათი დაცინვისა. სუფრაზე მოტანილი სანოვაგე თოვლივითა ჰქრებოდა და ოციოდ გაშმაგებული თვალი, მსუნაგი გამომეტყველებით, მისჩერებოდა გვერდ შეწითლებულ პატკანს, ჩემს მოსაუბრეს. ის კი განაგრძობდა:

— გუშინ წინ, ბავშვები ადრე დააძინეს. მეც იმათ ოთახიდან გამომიყვანეს და სამზარეულოს კუთხეში დამაბეს. გული საშინლათ მიცემდა, რაღაც საშინელებას მოველოდი და აი ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა ჩემი აქ მომყვანი, თოფიანი კაცი დამადგა თავს.

საბრალო ბატკანს ხმა ჩაუწყდა, თვალები მიებნიდა, ტანმა კანკალი დაუწყო და მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

— უცებ დამტაცა ბანჯგვლიანი ხელები, ეზოში წიწილასავით გამომიტაცა, მუხლებში გამომიმწყვდია, კისერი მაღლა გადამიწია და ალმასივით მახვილი დანა...

— აბა ყმაწვილებო, ახლა ბატკანი მიირთვით! რიხიანის ხმითა ბ მდიდარი მსპინძლური თავმომწონებით გადასძახა სუფრაზე მსხდომთ ბოქაულმა ტყავაძემ —ეს უბრალო არ გეგონოთ, თუშურია, ნამდვილი თუშური! ვერ წარმოიდგენთ რა რიგ გააძვირეს სანოვაგე ამ სოფლის ჩარჩ-ბაცაცებმა! უბრალო ბატკანი, ორი ლუკმა ძლივს გამოვა, ოთხი მანეთი ფული დამიჯდა!

იმან, გამოცდილი ხელით, თამამათ დაუსვა დანა და ორიოდ წამის განმავლობაში ჩემი ტანჯული მოსაუბრისაგან მხოლოდ მწარე მოგონებაღა დარჩა.

ეშმაკი.

ნაფყვეტები

——

შენ მზეს ეტრფოდი,
სთხოვდი სხივებსა,
მკერდს მიუშვერდი,
განაცივებსა.
მზეს შეებრალე:
სხივნი გაფრქვია,
ალერსით ყელზე
შემოგეხვია,
მაგრამ შენ დადნი,
როგორც სანთელი...
შენი მზე გახდა
შენივე მკვლელი!..

*
* *

გიყვარდა მთვარე
შენ წყნარი ლამის;
მან შენ გონებაც
წარგტაცა ლამის.
მაგრამ მოსტყუვდი:
დარჩა ორპირი
ეს შენი სატრფო,
ეს შენი გმირი:
სთხოვდი ნათელ პირს,
მნათობმა ის კი...
სხვას მიუშვირა,
შენ—ბნელი დისკი!..

*
* *

შენ ნიავს სთხოვდი,
ნიავს—ალერსსა;
მას უგალობდი,
უთხზავდი ლექსსა...
,,მოდი, მოდიო!''
მოვიდა იგი,
ხელში ეჭირა
მჭრელი ტარიგი,
შეგახო .. და მყის
დაგეჭრა ფრთები;
ის სხვისკენ გარბის
შენ კი... შენ კვდები! .

*
* *

ვიცი, გიყვარდა
შენ ნაკადული,
გსურდა მის ზვირთში
გებანა წყლული,
მაგრამ იმ ზვირთმა
ცივად გიკბინა,
გული მოგიკლა
და გაგიყინა!
ნაკადი კვლავაც
მირბის, მიტბორავს
და შენს შესახებ
უხამსად სჭორავს...

*
* *

შენ კი... გიყვარდა
ვარდი ლამაზი,
ბაღს ამშვენებდა
ის ტურფა, ნაზი:
მოსწყვიტე შენა
იგი ყვავილი,
ყნოსდი და იყავ
შვებით აღვსილი,
მაგრამ დასჭკნა ის
და შენ სხვა ვარდი
მონახე... გაჰქრა
პირველზე დარდი...

*
* *

და ასე... ასე,
დაუსრულებლივ
ამ ქვეყანაზე
ჩვენ ვხედავთ ირგვლივ—
ერთი მით ხარობს,
რითაც სხვა მწარობს,
ერთი მით სტკბება,
რითაც სხვა კვდება...
კაცი ნატვრის თვალს
როც მისწვდება,
კვლავ მაზედ, გველებრ,
შხამით ივსება!..

ნ. ზომლეთელა.



„სარწმუნოება“ დაეცა!



აღდგომა ძველის ოჯახში მქელათ.



აღდგომა ძველის ოჯახში დღეს.

*
* *

ვიშ, რა კარგია ეგ ბუნება, რა შშვენიერი!
აქ ვარდი ჭეშვეის, იქ ეკალი, ზამბახ იანი...
რად სტირის კატი, წამების ჯვარს რისთვის ატარებს?
ხომ ამ ბუნების შვილი არი ადამიანი?
—ვარდიც სჯენებაო!.. სსუ, რა მესმა, ეგ რა ჩამძახეს!?
მერე ხომ ვარდი კაზაფხულზე კვლავ იფურჩქნება?
კატი კი, კატი, იმ ოვიდან მარად იტანჯვის!..
მაშ მისი ხვედრი ევეიდისს რათი ედრება?
მა თადია რომ ორ ოვენი ბუნებამ შობა,
კველ ბეკეთისა კაჩენის ფდეც მოკვეს კატისს,
მაგრამ მათშიაც ხომ დიდია სხვა და სხვაობა:
სულ სხვა წესი აქვს ამა მოდგმის ქვეწარმავლისას
არცა ეკეიდების, არც კველ ბეკეთ არ შეეძლითა
ოსრონ ისე, ვით ადამიანი,
არსებობს მათთვის მხოლოდ „ბრძოლა არსებობისთვის“,
არ კი იციან ცუდია თუ სამართლიანი!..
ი, სად არი დასაწესი კეუგებრობის,
სად ეჩრდილება ადამიანის!
წესი არისო, რომ იტანჯოს, ურთ ერთი სჩაგრობ,
ვინც ეოკელ არსზე მაღლა დგას და დიად რამეს ჭქმნის
ახ, ნუ, ნუ კეურთ: სულ სხვა არი ადამიანი,
ის დიად არსთ ბუნებისკან არის შობილი,
თვის მოქმედებით კველ-ბეკეთებს არ ეშლა ბაძოს,
მათ შორის ჩაკვრას ადრ ეშლა ჭქონდეს ადგილი.
მაშ, კაიკონე, დიახლომე ადამიანო,
შენს სიმაღლეზე დაიწერე შენ შენი თავი,
თუმც ეგ ცხოვრება ადრ ვარკა, მაგრამ კამხნევდი,
უფრო ეკეთეს შერმისისა კახდი მწედკი.

ნ. ჩხიკვაძე.

„ოქტომბრისტი“.

წარმოდგენილი მაქვს თქვენი განცვიფრება, როცა, ორიოდ სიტყვის შემდეგ, თქვენს კადეტურ ილლიუზიებს ბოლო მოეღება და გაიგებთ, რომ „ოქტომბრისტი“, რომელზედაც მსურს თქვენთან ლაპარაკი სრულიადაც არ ეკუთნის რუსეთში მოქმედ პოლიტიკურ პარტიას.

დიახ, ოქტომბრისტიც არის და ოქტომბრისტიც! ჩვენი ფელეტონის გმირი ეკუთნის ფრთოსანთა ჯიშს, ანუ უკეთ ვსთქვათ, წარმოადგენდა რუხსა და მოზრდილ ქათამს.

აღწერა ჩვენი ოქტომბრისტის ცხოვრებისა მოკლე, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანია.

ერთს ნისლიანსა და მწუხარე ოქტომბრის დილას ქ-ნ რუსუდანის ოჯახში გამოიჩეკა რამოდენიმე წიწილა. საზოგადოთ ეს უჩვეულო დროა ჩეკისა და მრავლებისათვის, რადგან მოახლოებული ზამთრის სუსხი ავათ მოქმედობს ნორჩ არსებათა ორგანიზმზე. მაგრამ რაკი ასეთი შემთხვევა მოხდა, რუსუდანიც ერთგულათ მოეკიდა აღზრდის საქმეს. სიცივისაგან დასაფარავათ წიწილებს ბამბის ქულაში ახვევდა, მათი პატარა ბუდე საქათმედან თბილსა და სუფთა ოთახში შემოიტანა. თავ-თავის დროზე დაუნიშნა აგრეთვე საქმელ-სასმელიც და სეირნობაც.

მიუხედავათ ასეთი სათუთი მოვლა-პატრონობისა, ახალშობილთაგან გადარჩა მხოლოდ ერთადერთი არსება, ისიც ძალზე დაზიანებულ-დამახინჯებული: მან სრულიად დაჰკარგა სმენა, წაუხდა ცალი თვალი და მოეღრიცა ორივ ფეხი.

აი ამ არსებას, ნიშნათ მისი დაბადებისა და აგრეთვე სასწაულებრივი გადარჩენისა, ქ-ნმა რუსუდანმა უწოდა „ოქტომბრისტი“.

დამერწმუნებით, უკეთესი ნათლის სახელის გამონახვაც შეუძლებელი იყო და ეს მოსაზრება ემეტეს აშკარა იქნება თქვენთვის, როცა „ოქტომბრისტის“ სიეზოვო ცხოვრებას და მის „კანონმდებლურ“ მიდრეკილებას გაიცნობთ.

დავაჟკაცებისათანავე დაეტყო მას განსაკუთრებული, ოქტომბრისტული, ზნე-ჩვეულებანი: ორი საათის განუწყვეტელი და ხმა მაღალი კაკანის შემდეგ დასდებდა ის ერთს პატარასა და ხშირათ უგულო კვერცხსა. ალბათ ამ მიზეზისა გამოც უწოდა მას ქ-ნმა რუსუდანმა საპატიო სახელი „კაკანმდებელი“. რაიცა ეგრე აშკარათ გვაგონებს ჭეშმარიტ ოქტომბრისტთა თვისებას „კანონმდებლობისას“. თუ განსხვავება რამ იყო მათ შორის, ეგ მხოლოდ ნაყოფიერების მხრივ, რადგან ჭეშმარიტ ოქტომბრისტთა კანონ პროექტების ინგარიში უკვე გასაჭირია. ღირსებით კი, არა თუ უბრალო მსგავსება, არამედ თანასწორობა და უმეტნაკლებობაც უზრუნველ ყოფილი გახლდათ.

რადგან საკუთარი კვერცხების იმედით „ოქტომბრისტის“ ბუდეზე დასმა არ შეიძლებოდა, ქ-ნმა რუსუდანმა მას სხვა ჯიშის ქათმის კვერცხები ჩაუწყო, მაგრამ თანდაყოლილი ზნე „ოქტომბრისტმა“ აქაც გამოიჩინა. თითოეულ კვერცხზე ორ ორი თვე იჯდა და მიუხედავათ ამისა, მაინც მესამეი ძლივს გამოჩეკა უნდა გენახათ მაშინ მისი თავმომწონე და აუტანელი კრუხუნი;

ყველა ფრთოსანთათვის აუტანელი შეიქნა მისი მბრძანებლობა. ბატები, იხვები, ინდაურები და აგრეთვე სხვა ჯიშის ქათმები, ეზოს ღობის ძირას აფარებდენ თავს და განაპირა ადგილებში ეძებდენ საზრდოს. მტრული განწყობილება ჩამოვარდა აგრეთვე მურიასა და „ოქტომბრისტს“ შორის, მაგრამ განსაკუთრებულ მრისხანებას იმისას განიცდიდა წითელი კატა, რომელსაც რაღაც ეჭვებით თავისი წიწილებისადმი მისწრაფებას სწამებდა.

საბედნიეროთ დიდ ხანს არ გაგრძელებულა ამ დესპოტის მბრძანებლობა. სიყრუვისა, სიბეცისა და ფეხებში გრძნობიერების დაკარგვის გამო ის თავის თავს მეტ მწუხარებას და ზიანს აყენებდა, ვიდრე

სხვებს. თითქმის ყოველ-დღე ამოჰქონდა რუსუდანს „ოქტომბრისტის“ ბუდიდან თითო-ოროლა დამ-ხრჩვალი წიწილას გვამი. ის, უმეცარი, სხვათაგან თი-თქო მედგრათ იცავდა თავის „პირმშოებს“, მაგრამ თითონ კი დაუზოგველათ ახრჩობდა მათ.

ათიოდ დღის შემდეგ განთავისუფლდა ის მშო-ბლის სამძიმო მოვალეობისაგან, მაგრამ მეზობლებ-თან მტრობა და შური მაინც ვერ მოიშალა. მუდამ დღე ხან ერთს, ხან მეორე წევრს ეზოისას სამ-კვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უტეხდა და უთან-ხმოებას უმეტეს ამწვავებდა.

მხოლოდ ერთი გზაღა დარჩა: რუსუდანმა ის ძარში დაამწყვდია და უხვი საზრდოთი სადღესა-სწაულოთ სუქება დაუწყო. მხოლოდ აქ გაამართლა იმედი წამებულმა „ოქტომბრისტმა“ და აი ა-დგომა დღეს ღირსეულათ ამშვენებს ის ერთი წარჩინებუ-ლი მოხელის სადღესასწაულოთ მორთულ სუფრას, მაგრამ როგორ და რა სახით, ეს თვით მკითხველმა გამოიცნოს.

ასე გათავდა „ოქტომბრისტის“ ისტორია.

ისტორიკოსი.

ნადსონით.

(ვუძღვნი იმას...)

არა, შენს სიკვდილს უფრო ავიტან,
ვიდრე სიცოცხლეს გარყვნილთა შორის.
სად გებილწება ახალგაზრდობა,
მსხვერპლი ხარ ულირს, ურცხვი ამბორის.
ნეტავ მკვდრათ იდო! ვიდრე ვიცოდე,
რომ შენ ძალგიძდა ღრმა სიყვარული
და დღეს კი მონებრ გადაგიშლია
გახრწნილთ წინაშე უმანკო გული!.

— —

განა უგვანო ცხოვრება იყო
ერთად საუბრის ჩვენი საგანი?
განა არ გვძაგდა იმ დროს ორთავეს
ბრმათა სიცოცხლე, ბნელი საკანი?
სად, სად გაგიქრა წმინდა სიზმარი,
რისთვის გასტყორცნე შორს მხსნელი ბედი?
რათ არ ჩაიკარ გულში მზის სხივი,
ის, განახლების წინამორბედი?..

— —

ვფიცავ მებრალვი!.. ცრემლიც კი მცვივა...
ახ, რომ იცოდე!.. მე თავს დავდებდი
და მდევის ძალით, ვით ბავშვს აკვნიდან
მაგ გარყვნილ წრიდან გაგიტაცებდი...
მაგრამ ფუჭია ჩემი ძახილი!..
კვლავ თვალ წინ მყავხარ ულონოთ ქმნილი
და მოწოდების საპასუხოთ გაქვს
ხან ცხარე ცრემლი და ხან ღიმილი...

ვ. მალაქიაშვილი.

დ ე კ ე შ ე ბ ი.

(ვარგისის საგენტო)

დ. **სამტრედია.** ლეიბ ქირურგმა სტიოპკა ნი კურაძემ, კარგი მასწავლებლის წყალობით, ნესტორ კიკაჩეიშვილსაც გადააჭარბა. საუცხოო მოხერხე-ბით და სწრაფათ უკეთებს ჯიბეთა ოპერაციებს ვინც კი მის მიერ მოშზადებულ მანქანაში ფეხს ჩა-დგამს.

იქიდანვე. სიცრუეა, ვითომც ზოგიერთი მუ-შები ხშირათ თვრებოდნენ სამიკიტნოებში, ისინი მხოლოთ საღამ-საღამოობით შედიან ბახუსის შესა-ვედრებლათ და შემდეგ, ძლიერ დაქანცულნი, ქუ-ჩებში ფეხებით გეომეტრიას სწავლობენ.

იქიდანვე. ერთ თანამდებობის გვამს, ე ი. ჩი ნოვნიკს ტლიკინიზმი და ფოთიალიზმი დაემართა, რასაც შედეგათ მოჰყვა: ენის შესამჩნევათ დაგძე-ლება და ხელების სიდამბლე.

იქიდანვე. ადგილობრივ ზინგერის მუშებს ერ-თი ნაზინგერალ ნაგენტარი სტუმრათ მოევლინათ სხვისი გვარით. სანამ ვინაობას გაიგებდენ, ბევრს საქანქრეთი დაუცარიელა და თოვლივით გაჰქრა. ვამოიწერეს პოლიციური ძაღლები მის საძებრათ.

ტკბილი ოცნება.

I

ზეპირ გადმოცემის მიხედვით, იმ ადგილას ხში-რათ ისვენებდა, თურმე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და თავისს უკვდავ პოეზიის მარგალიტებსა ქმნიდა.

დღეს კი, მთაწმინდის ამ უბანს, სამიკიტნო-ებში ტვინ შეხურებული ყმაწვილ კაცობა და უმთა-ვრესათ ტრფობის ეშხით გატაცებული ყმაწვილ-კაცობა ეტანება.

მხოლოდ ახალგაზრდა პოეტი აკაკი კაეშანიძე*) მოვიდა აქ, ამ წმინდა ადგილზე, ფაქიზი-გრძნობებით გამსჭვალული.

---

*) უნდა მოგახსენოთ, რომ აკაკი ნამდვილი სახელია მგოსნისა, ხოლო კაეშანიძე ფსევდონიმი. ცხადია მშობლებმა თაობიდანვე იცოდენ, რომ მათი შვილი მგოსანი გამო-ვიდოდა, მაგრამ როგორც აკაკი წერეთლის თაყვანის მცემლები, რათქმა უნდა უპირატესობას აკაკის აძლევდენ. აი ამიტომ უწო-დეს მას ეგ ისტორიული სახელი. კაეშანიძე თითონ გამონახა ფსევდონიმათ აკაკიმ, როცა აშკარათ დაუმტკიცეს, რომ ის უკვე ბარათაშვილზე მაღლა დგას სამგოსნო კიბის საფეხუ-რებზე.

კარგა ხანია კრიტიკოსმა კიტრაძემ, ის ბარათაშვილის მემკვიდრეთ აღიარა და ახალგაზრდა, გატაცებული მგოსანიც, თავს მოვალეთ რაცხს თითოეული მარგალიტი თავისი მჩქეფარე გრძნობა-გონებისა ამ ალაგას დასწეროს და თუ დაწერას ვერ მოახერ'ებს, წაკითხვით მაინც წაიკითხოს.

დღესაც აქ, მხარ თეძოზე წამოწოლილი, მგზნებარე თვალებით დაჰყურებს იგი მგოსნური სიმაღლიდან, ძირს, ქალაქის ქუჩებზე, უბრალო მომაკვდავთა თავდავიწყებულ და ამაო ფუსფუსს!

ამ სანახავმა ღრმათ ჩაფიქრა „ნორჩი ვარსკვლავი" და მცირე ხნის შემდეგ მან მედიდურათ წარმოსთქვა:

—ნეტავ რა არის ჩვენი ყოფა,
წუთისოფელი,
თუ არასოდეს საწყაული
აღუვსებული?
რა არის კაცი, თუ ის კაცი
ცოცხალს არა ჰგავს,
სოფელში ცხოვრობს
და სოფლისთვის არარასა რგავს?!

მართალია რაღაც ამის მაგვარი თვით ნიკოლოზ ბარათაშვილსაც ჰქონდა სადღაც ნათქვამი, მაგრამ აკაკი კაეშანიძემ სრულიად დამოუკიდებლათ და ახალს ფორმაში ჩამოასხა ეს დიდებული აზრი! ამიტომაც იყო, რომ თავმომწონებით ამოიღო პატარა უბის წიგნაკი, (რომელსაც თან ამოჰყვა გაქონილი ჯვრის ორიანა) და მედიდურათ ჩასწერა შიგ ეს მარადლა პატარა, და მართლა მარგალიტი პოეზიისა.

კიდევ ორიოდ წამი ღრმა ფიქრებისა და ჩვენი მგოსანი ტკბილსა და დამათრობელ სიამოვნებას განიცდიდა ამხანაგთა და გულის სწორთა შორის.

II

— იცით, ყმაწვილებო! დაიწყო სანდრომ,— აკაკი ახლა ჩვენისთანაებს თავს დიახაც არ გაუყადრებს.

— ისიც დიდი პატივისცემაა ჩვენთვის, რომ მასთან ერთ სუფრაზედა ვსხედვართ, გამოეპასუხა შალიკო.

— როცა აკაკი გერმანიიდან დაბრუნდება, სანახაობა თქვენ მაშინ უნდა იკითხოთ! დაიწყო თომამ —მთელი საქართველოს ინტელიგენცია ბათუმში მიეგებება და პურ-მარილს მიართმევს. ქალები ვარდ-ყვავილებით მოუფენენ გზას, სხვა და სხვა მომღერალთა ჯგუნდები გალობას შეასხამეს... ეჰ, ვინ მოსთვლის, ვინ მოსთვლის!

აკაკი კაეშანიძის გული მოუთმენლობითა და სიხარულით სცემდა. ის კიდევაც განიცდიდა ამ ბედნიერ წამებს, როცა გერმანიიდან დაბრუნებულს ბათუმის ქალაქი გაჩირაღდნებულ-აყვავებული დაუხვდებოდა, როცა ქართველი ქალები გზებს ვარდით მოუფენდენ და სხვა ათასი ამგვარები.

— ქუჩებში აქა-იქ გამართული იქნება სატრიუმფო არკები ჩანგის სახით. რომელსაც ელექტრონის ყვავილებით ნათლათ და მკაფიოდ ეწერება ამისი უკვდავი სიტყვები:

„რა არის კაცი,
თუ ის კაცი ცოცხალს არა ჰგავს,
სოფელში ცხოვრობს
და სოფლისთვის არარასა რგავს."

ჩვილ ყრმათა გუნდი ანგელოზის ხმებით უგალობს მას „მრავალ ჟამიერსა" და შესთხოვს მეუფეს მის ხანგრძლივ სიცოცხლეს, დასძინა ტიტიკო კენჭაძემ.

— იცით, ყმაწვილებო, ვსთქვათ მაშინ მივედი მე ჩვენი ქვეყნის მნათობთან და გავახსენე, რომ ოდესღაც, შორეულ წარსულში, ხუთი წლის წინეთ, ჩვენ ერთად ვსწავლობდით, ერთ სკამზე ვისხედით, ერთად ვამზადებდით გაკვეთილებს, ერთათ დავდიოდით თუნდაც აი აქ, ამ არშაკას პადვალში... ის ამხედავს, დამხედავს, ბროლის თითს პიტალო შუბლზე მიიბჯენს, ღრმათ ჩაფიქრდება და იტყვის:—აჰა�ა! წარმოიდგინეთ მაგონდება!.. დიახ, დიახ! .. თქვენ ისა ბრძანდებით... დიახ, დიახ!.. დასწყევლოს ღმერთმა, სახელი ვერ მომიგონია!..

— სახელი რომც მოიგონოს სირცხვილით აღარ გაამხელს, გააწყვეტინა პეტრემ.

— თქვენ უნდა უყუროთ როგორ დაეხვევიან მას გაზეთის რეპორტიორები, ბ. საქველმოქმედო საზოგადოების ქალები!!! როგორ დაუწყებენ ოჯახიდან ოჯახში პატიჟს, როგორ მოაბეზრებენ თავს სხვა და სხვა კონცერტებსა და სალიტერატურო საღამოებსა, თუ დილებში მიწვევა მიპატიჟებით!! ეეჰ, მეგობრებო, მაშინ ნახეთ თქვენ აკაკი კაეშანიძის მედიდურობა! კიდევ კარგი, თუ რომელიმე ჩვენგანი ბედმა სრულიად არ მოიძულა და სადმე საზოგადო საქმეში ოფიციალური ადგილი მისცა. მაშინ კიდევ იქნებ მოგვხედოს და ხელი გამოგვიწოდოს, თორემ თუ ჩოხის ამარა დავრჩით, მშვიდობით მაშინ!!

აკაკი კაეშანიძემ რამოდენიმეჯერ განაცხადა წინააღმდეგობა ასეთი ბაასის გამო, მაგრამ ისე სუსტათ და ისეთი კილოთი, რომ ცხადათ სჩანდა, რაზომ სასიამოვნო იყო მისთვის ამ ბრწყინვალე მომავლის გათვალისწინება.

— ჩემი აზრით, ამხანაგებეო, —დაიწყო თომამ, ყველაზე უფრო საინტერესო აკაკის ხუთი წლის იუბილე იქნება. ქართველი ერი დიდის თავგამოდებითა და უჩვეულო ენერგიით შეუდგება მის მზადებას. ერთი წლით ადრე ბრწყინვალე დღესასწაულისა, ყველა დაბებსა და სოფლებში დაიწყებენ ლექციების კითხვას „კაეშანიძის პოეზიაზე". გაზეთები აჭრელებული იქნება ქართველ კრიტიკოსთა და ჟურნალისტთა წერილებით ამავე საგნის შესახებ. თვით ახალგაზრდა ფი-

ლოსოფოსი, ტიტე გრიგოლის-ძე რობაქიძე *) ერთ საჯარო ლექციის დროს, ,,პლატონ ბრანდესის ძე შოპენგაუერის პოეზიის შესახებ'', აი რას იტყვის: ,,ბ-ნებო და ქ-ნებო! ეროვნებისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს არა თუ ტერიტორია, არცა სხვა რამ მატერიალური საუნჯე. მისი ძლიერებისათვის საჭიროა, მხოლოდ მაღალი პოეზია, პოეზია კიბის უმაღლეს საფეხურზე მდგომი! ამიტომაც თამამათ შემიძლია ვსთქვა, რომ ერთად-ერთ სიტყვას, ერთად-ერთ ანბანს, აკაკი კაეშანიძის პოეზიისას არ გავსცვლიდი მთელი აზიის ტერიტორიალურ სივრცეზე და გინდ ამერიკელ მილიარდერთა ბაჯაღლოებზე''. აღტაცებულ მსმენელთა ტაში მთელს არეს გადააყრუებს...

— კარგით ერთი, თუ ღმერთი გწამთ, ტკბილათ გაწყვეტინა ლაპარაკი კაეშანიძემ, — განა ღირს ახლა ამაზე ლაპარაკი?!

— კრიტიკოსი კოტე კიტრაძე, დაიწყო სოლომ, უკილობლათ დაასაბუთ-დაამტკიცებს, რომ ჩვენს ახალგაზრდა მგოსანს არა თუ ამ ჟამად არა ჰყავს ბადალი ვინმე ცოცხალთა შორის, პირიქით, არც წარსულში ყოფილა მსგავსი ვ-ნმე დედა მიწის სურგზე.

— ისტორიკოს-არქეოლოგი დათიკო გიორგისძე გვაზავა შეეხება მისი პოეზიის მხოლოდ ისტორიულ მხარეს და იტყვის: აი მხოლოდ სად არა სჩანს კვალი შარლატანიზმისაო, დინჯათ წარმოსთქვა შალიკომ.

— სოფრომ ზაქარიას ძე ჭიჭინაძე გამოიკვლევს აკაკი კაეშანიძის გვაროვნობას. თვით სამოთხის კარამდე მიიყვანს მის გენეოლოგიას და დაამტკიცებს, რომ ჩვენი მომავალი მნათობი პირდაპირი ჩამომავალია ადამისა, შენიშნა ვანომ.

ღიღხანს გაგრძელდა ასეთი ტკბილი ამხანაგური მუსაიფი. ვრცლათ ასწერეს სურათი იმ დიდებული, საერო დღესასწაულისა, რომლის მიზეზიც ჩვენი ნორჩი პოეტი იყო. გაჩირაღდნებული ქალაქის ქუჩები! მწვანეთ მორთული ეტლები და სახლის აივნები! ნოხით მოგებული ტროტუარები! მოზღვავებული ხალხი! უცხოეთიდან გამოწერილი საფრენები! ათასგვარი არკები და გვირგვინები! ურიცხვი დეპუტატები და საპატიო ყარაულები!

აი გათავდა მილოცვები! ხალხი მოუთმენლათ მოელის მგოსნის საპასუხო სიტყვას! მთელი ქალაქი, მთელი საქართველო სმენათ არის გადაქცეული! მკვდრულ, სამარისებურ სიჩუმეს არარა არღვევს. ყველას თვალი იუბილიარის ძვირფასი სავარძლისაკენ არის მიქცეული. და აი აკაკი კაეშანიძე, გული ამ ზღვა საზოგადოებისა, შეუფერებელის სიდინჯით წამოდგა და...

*) აქ ალბათ გრიგოლ რობაქიძის მემკვიდრეზეა ლაპარაკი.

III

და მის ნამძინარევ თვალთა წინაშე გადაიშალა ურიცხვი ფაერებით მოლაპლაპე სივრცე ქალაქისა, მთაწმინდიდან ვიდრე ჩუღურეთამდე.

ეშმაკი

შ ა რ ა დ ა

შარადას გეტყვით პატარას,
მოკლეს და თავაზიანსა,
არ ამოცნობა იმისი
ბევრს არას მოგცემთ ზიანსა
ბაბუა თქვენის ნახევარს,
გინდა თავს, გინდა ბოლოსა,
მოჰკიდეთ მწერთა ,სასახლე''
(ფრთხილათ, არ ჩაიქოლოსა!)
იმ სასახლეში, უფლება
დედოფალსა აქვს მხოლოსა,
ურიცხვი მუშა ხელი ყავს,
მინდორს რო მოაყოლოსა,
თავზე მოავლოს ყვავილებს
აუქროლ-ჩაუქროლოსა,
რომ პაწაწინა ხორთუმი
შიგ გულში ჩაუყოლოსა...
ამით გათავდა კიდევაც
შარადა განაზრახავი,
,,გამიზნულ მიზნის მიზეზით''
არ დიდი დასაზრახავი,
პოლიტიკური არ არის
საჩქაროდ მონაჩმახავი,
მხოლოდ ბრმას დაურჩებოდა
აღდგომას დაუნახავი.

კოლო.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

(ვოლდემარის საგენტო)

ფოთი. ჩამოვიდა ესიკოვსკის ცირკი და მთელი ლეგიონი ჩემპიონთა უკვე გაიმართა ფრიად სასეირო ჭიდაობა დაეჯახენ ერთმანეთს გოლლენდერი და ცნობილი იზბაში. იზბაში ძლეულ იქმნა. ზოგიერთი ახალ მოსწავლენი ძლიერ ბაძავენ ჩემპიონებს, მაგრამ ვინაიდან მოწინააღმდეგე არავინ ყავთ, განცხადების ბოძებს ეჭიდავებიან. ერთი ასეთი ბოძი, საქალებო გიმნაზიის პირდაპირ, ძლეულ იქნა ზოგიერთ მოსწავლეების მიერ. გათამამებული ახალგაზდა ჩემპიონები დაეჯახენ საქალებო გიმნაზიის ღობესაც და ისიც გაანგრიეს.

იჭიდანვე. ამ დღეებში ესიკოვსკის ცირკში სატუსაღოს კომიტეტმა გამართა საქველმოქმედო საღამო, რასაკვირველია ფონდის გასაძლიერებლათ. როცა ამ მიზნით ბილეთებს ყიდდენ, წაწყდენ ერთ

რკინის გზის მოსამსახურეს ბ-ნ ხუნდაძეს და ბილეთი შესთავაზეს. მან ჩემპიონურათ განაცხადა: ,,ციხეში ავაზაკებია და მათი დახმარება, ეს ავაზაკობის დადასტურებაა.“

იქიდანვე შესდგა ,,კორესპოდენტთა შემმუსრი ლიგა‘‘. იმისი მიზანია, დაიცოს ნიკობურგელთა მუუდრო და დამყაყებული ცხოვრების ,,წესიერება“. ლიგა აღდგომიდან ოფიციალურათ დაიწყებს მოქმედებას.

იქიდანვე. რამდენიმე თვეა, რაც აქ გადმოიყვანეს ექიმათ ვინმე ორლოვი. ამ დღეებში მასთან მივიდა ქალაქის ფელდშერი ბ. ნოდია და ზარა დაურეკა. „უბრალო ფელდშრის‘‘ ასეთმა თავხედურმა საქციელმა ძლიერ გააბრაზა ბ-ნი ორლოვი და უყვირა მას: „Почему вы съ чернаго ходу не пришли? Какъ вы, (такой, сякой), осмѣлились нарушить объязательное для ,,подчиненныхъ правило‘‘-ო?

იქიდანვე. ვოლდემარის დეპეშათა სააგენტოს ცნობის გამო, ზოგიერთ მასწავლებლებზე ამ ზოგიერთებში დაიბადა აზრი, პროტესტი გამოეცხადოს, სააგენტოს, რამეთუ მანარ სთქვა სახელდობრ, რომელი მასწავლებელი (ან მასწავლებლები) იქნენ სა... (ვერ გავარჩიეთ) დაპატიჟებულნიო.

ვიჩქარით ვუპასუხოთ, რომ სწორეთ ის მასწავლებლებია დაპატიჟებულნი, რომლებიც ამ შენიშვნაში თავს დაინახავენ. ვინც მიხვდება და იგრძნობს, სწორეთ ის და არამც და არამც სხვა.

იქიდანვე. ერთი ექიმის გამოკვლევით (თვით მიხვდება ვინცაა და ტყვილად სხვა რათ დაინახავს თავს?) ყველა ავადმყოფნი იმ სენით შეპყრობილნი არიან, რითაც გამშინჯავი ექიმი გამოდგება. უნდა მოგახსენოთ, ფრიად მეცნიერული გამოკვლევაა!

იქიდანვე. ბ-ნმა ვოლდემარმა ეშმაკეთის მთავარ შტაბიდან საიდუმლო ცირკულიარი მიიღო. მთავარი შტაბი აძლევს მას წინადადებას: ფიცხლავ გაემგზავროს ნიკობურგის სხვა და სხვა დაწესებულებებში და სასტიკი რევიზია მოახდინოს. ასეთი განკარგულება გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ აქაურ დაწესებულებებში მრავალი ბოროტმოქმედება ხდებაო. რევიზია დაიწყება ნაადგომევს, რასან ეხლა დაწესებულებანი დაკეტილია.

(მანდე—ძის სააგენტო)

ჭიათურა. ამ დღეებში „არტისტ“ ხარაიძის რეჟისორობით წარმოდგენილ იქნა ხუთ მოქმედებიანი დრამა,—„ბურთი“. მონაწილეობა მიიღო მოსწავლე ახალგაზრდობამ და მუშათა უმრავლესობამ.

დარკვეთი. სარეცხი ქარხნის ადმინისტრაციამ ორმოცამდე მუშა ერთ-ერთ აგარაკზე გაგზავნა დასასვენებლათ და თვითონაც მიისვენა..

ჭიათურა. კვირას, 4 აპრილს ბ. ი. ბახტაძემ თეატრის დარბაზში წაიკითხა ლექცია. ლექციას 150 დე სკამი დაესწრო.

ჭიქაური. მუშა ნიკოლოზ შარიანიძე მეტიჩარობით -გარეშე პირების‘ ქარხანაში არ დაშვებისთვის წარდგენილ იქმნა ეშმაკთა საბჭოში. მათრახის კუდზე. აღდგომის შემდეგ ეშმაკთა საბჭოს წარუდგენენ ოგანეზოვის ქარხნის სხვა მუშების სიასაც ამავე ჯილდოზე.

ჭიათურა. ნ. წერეთელმა თავის მუშებს ჯამაგირის მიცემა დაუგვიანა, რადგან „ფული არ ქონდა‘‘. ამისთვის მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა (გაიფიცენ) და მოითხოვეს ჯამაგირების დარიგება. ბ. წერეთელმა მიუხედავათ იმისა, რომ ,,ფული არ ქონდა‘‘—მაინც 15 მდე მუშას ანგარიში გაუსწორა და სამსახურიდან დაითხოვა

ამ საქმეში დიდი დახმარება აღმოუჩინეს ნ. წ—ს ბ.ბ. ოტტო რუდოლფმა და ნ. ჭელიძემ, რისთვისაც წარდგენილ იქნენ უმაღლესათ მათრახის კუდზე...

ალიდანვე. მონასტრის ვექილმა, ღვდ. კ—ძემ სახარებაში შესცვალა სიტყვები: „ორი პერანგი რომ გქონდეს —ერთი სხვას მიეცეო“, შემდეგი სიტყვებით: ორი ,,ლაფატკა‘ ვისაც აქვს, ორივე წაართვი‘‘-ო.

რა კარგი იყო, რა ნაზი ია!..

,,რა კარგი იყო, რა ნაზი ია!‘‘
ასე მოსთქვამდა ტურფა სოსანი
და იქვე ვარდზე კაეშნიანად
ჩანგს აკვნესებდა ცისკრის მგოსანი.
ისიც მოსთქვამდა: ,,გაზაფხულის პირს
პირველად მოხველ, ჩემო ძვირფასო,
ჩემო ლამაზო და საოცნებო
გულის ყვავილო, სიცოცხლის ფასო!..
ცისფერი თვალი შენი მომაპყარ,
მომხიბლე სრულათ, მომაჯადოვე,
მაგრამ, უწყალოვ, ასე უდროოთ
რათ გამეყარე? რათ მიმატოვე?!
ოჰ, რა ლამაზი, რა ნაზი იყავ!..
და მით მწარეა ეგ მოგონება,
უშენოთ ყოფნა ჯოჯოხეთია,
ლამის დავკარგო სრულათ გონება.
აი, სოსანიც შენზედა მოსთქვამს:
,,რა კარგი იყო, რა ნაზი ია!‘‘
ასე გიგონებს და ამ სიტვვებზე—
ცრემლი არ ღვაროს —არ შეუძლია.
ოჰ, მართლაც, . მართლაც, რა ნაზი იყავ!..
იმ თავიდანვე მომაჯადოვე,
მაგრამ, უწყალოვ, ასე უდროოთ
რათ დამაობლე? რათ მიმატოვე?!‘‘

ნ. ზომლეთელი.

პატარა ფელეტონი.

„ტელეგრამა“

(თარგმანი).

შუალამე იქნებოდა, როცა რუსეთის თავისუფალ მოქალაქის, ანტონ ანტონისძე ობივატელევს დერეფნის ზარები ღონივრათ დაურეკეს.

— ნეტავ ვინ უნდა იყოს? გაივლო გულში ანტონმა.

— იქნებ ექსპოპრიატორები არიან! მწარეთ წაიჩურჩულა ანტონის მეუღლემ.

ობივატელევი მოკრძალებით მიუახლოვდა კარებს და შიგნიდან შეეკითხა:

— ვინ არის?

— ტელეგრამა! მოისმა დერეფნიდან.

ანტონი ელდა ნაკრავივით მოშორდა კარებს.

— გააჩაღე ბუხარი! ბუხარი ჩქარა! გასძახა მან ცოლსა და მოსამსახურეს.

ქალებმა გაოცებული და შეშინებული თვალებით გადახედეს, ფერ მიმკრთალ ანტონსა.

— ჩქარა, ჩქარა მეთქი! არ გესმით! აღელვებულის ხმით ეუბნებოდა ანტონი. — უოუოდ ჩხრეკაა! ეს ყოველთვის ეგრე იციან: როცა გასაჩხრეკათ მოდიან ყოველთვის ტელეგრამაა, ამბობენ. . ჩქარა, ბუხარი, ჩქარა!

ქალბატონ ობივატელოვისას სახე გაუფითრდა.

— ნუღა აყოვნებთ! გაიძახოდა ანტონი, — თქვენ ბუხარი გააჩაღეთ, მე კი აკრძალულ წიგნებსა და ხელნაწერებს გამოვნახავ.

— რავქნა, რა უნდა გამონახო, ჩვენ ხომ არაფერი გვაქვს აკრძალული!

— შენ ეგრე გგონია?! ვინ იცის ჩვენს დროში რა არის აკრძალული და რა არა!

ბუხარი აგუგუნდა, ანტონმა მოიტანა რამოდენი მძიმე წიგნი და ცეცხლში შეაყუდა.

— მოიცა, ეს რა წიგნებია? შეეკითხა მეუღლე.

— ტოლსტოის თხუზულებანი: „ანნა კარენინა“, „ომი და ზავი“, „ბავშვობა“.

— კი მაგრამ ესენი ხომ ნება დართულია?

— მერმე რა, რომ ნება დართულია. იმისი სურათებიც ნება დართულია, მაგრამ აბა ერთი დაჰკიდეთ სადმე სამკითხველოში!! მაშინ გიჩვენებენ ტოლსტოის...

ცოლმა მწარეთ ამოიოხრა.

— აბა, ახლა ლერმონტოვს გავუძახოთ...

— ლერმონტოვს? რას ამბობ კაცო! აკადემია სცემს და...

— აკადემიამ დაე გამოსცეს! აკადემიას ციხეში ვერ ჩასვამენ და მე კი ბევრს არ მალაპარაკებენ. განა ვინ არ იცის, რომ ლერმონტოვი ერთ დროს გადასახლებული იყო?

ცეცხლის ალი სწრაფად მოედო ლერმონტოვის თხზულებებსაც და გულში ჩაიკრა.

ზარის ხმა უფრო ძლიერათ და მკვახეთ გაისმა.

— ეხლავ, ეხლავ! დაბნეულათ გასძახა ანტონმა. — დაგვაცადეთ ცოტა, ტანთ ვიმოსებით. და თან მთელი წყება წიგნებისა შეჰყარა ბუხარში.

— აბა „ნივა“ მოიტანე, გესმის! უბრძანებდა ანტონ მეუღლეს. — ჩქარა „ნივა“! ხომ იცი 1905 წლისაა გესმის 1095 წელი! მარტო ამისთვის გამოგვალპობენ ციხეში.

ცეცხლის აღი ორჯერ გაეთამაშა „ნივას“ სქელ კანსა და ჩაქრა.

— სპიჩკა, სპიჩკა ჩქარა! საზარლათ წამოიძახა ობივატელოვმა.

ცეცხლმა ისევ იფეთქა და ორიოდ წუთის შემდეგ „ნივა-“ საგან მხოლოდ ფერფლი დარჩა.

— აბა ახლა წერილები! უბრძანა ანტონმა.

— რა წერილები, სადა გვაქვს ჩვენ წერილები. მხოლოდ ნიკოს წერილებია.

— მოტა, მოიტა ჩქარა' ნიკო-სტუდენტია. არ მინდა იცოდენ, რომ შვილი სტუდენტი მყავს. ხომ იცი ამისათვის მადლობას არ გეტყვიან.

წერილების კონა ბუხარში აენთო.

— კიდევ რაღა დარჩა?

— ოლიჩკას წერილები... სამარისებური ხმით წარმოსთქვა ანტონის მეუღლემ — იწერება გაკვეთილები აღარა მაქვს, ფული გამომიგზავნეთო.

— ფულებს თხოულობს? აჰა! — აბა რათ უნდა ახალგაზრდა ქალს ფულები, ალბათ ბომბებს აკეთებსო, იტყვიან

ბუხარი კვალად განაოდა

— მეტი არაფერია?

— არის .

ქ-ნი ობივატელოვისა გაწითლდა.

— არის შენი წერილები... როდესაც ჩემი საქმრო იყავი. .

— მოიტა აქ!

ცოლს თვალზე ცრემლები მოადგა.

— ანტოშა! ვედრების კილოთი მიმართა ცოლმა - ამაში ხომ არაფერი სწერია მთავრობის საწინააღმდეგო.

— არაფერი სწერია? მაშ ეს რა არის? ანტონმა მოაგლიჯა წერილს ვარდის ფერი ლენტი, გაშალა და წაიკითხა:

„ჩემო ძვირფასო და საყვარელო! დღიდან დღე ჩემი შენდამი სიყვარული იზრდება ფრთასა შლის. გესმის, რა დამიწერია: „ჩემი შენდამი სიყვარული იზრდება“. განა არ იცი, რომ სიყვარული მხოლოდ მამულისა არის ნება დართული? შენ კი ჩემი ცოლი ხარ და არა მამული. ამისთვის, ჩემო კარგო, თავზე ხელს არ მოგისვამენ.

კარებზე მაგრათ მოაკაკუნეს.

— ამოწყდენ, თუ რა ამბავია! მოისმა დერეფნიდან უკმეხი ხმა.

— კარებს ამტვრევენ! გაუელვა თავში ანტონს. შეუძახა ბუხარში კიდევ რამოდენიმე წიგნს და გაეხმაურა.

— ეხლავ გავიღებთ, ამ წამში!

იმან გადაისწორა ულვაშები.

— ეხლა საშიში აღარაფერია, გაამხნევა ცოლი და მედიდურის სახით გაულო კარები.

— გთხოვთ მობრძანდეთ, ბატონებო!

— აბა ხელი მოაწერეთ! მოესმა ისევ უკმეხი და მწყრალი ხმა უცნობისა.

ანტონმა აიღო თავი და ჟანდარმების ნაცვლად დაინახა უბრალო ფოსტის მსახური.

— მიიღეთ ტელეგრამა და ხელი მოაწერეთ. გაიმეორა ფოსტალიონმა.

— მხეეეეი! წამოიძახა ობივატელოვმა. შენ როგორ ბედავ ხალხის მოტყუებას. იძახი ,,ტელეგრამა''-ო, რომ იფიქრონ გასაჩხრეკათ მოდიანო; შენ კი, ეშმაკმა იცის შენი თავი, მართლა დეპეშა გქონია.

ფოსტალიონი გაოცებული შეჰყურებდა ანტონს და ვერ გაეგო თუ საქმე რაში იყო.

კუთხეში კი მწარეთ ქვითინებდა მრავალ ტანჯული მეუღლე ანტონისა. ის იგლოვდა თავისს საქმროს წერილებს ტოლსტოის, ლერმონტოვს...

ო ლ. დორ.

ძმაო ეშმაკო! იქნება
,,ჩახავა'' გაგიგონია?
იმას თფილისის სადგურზე
კოხტა ბუფეტი ჰქონია.
სხვა გამგენიც ბუფეტში
,,ჩახავებური'' ჰყოლია,
ზნე-ქველობა და სიკეთე
ერთსაც არ გამოჰყოლია
რომ იხჩობოდეთ ტალახში,
ფეხს ჩაგკვრენ, შიგ ჩაგძირავენ...
,,ჩახავებურათ'' აღზრდილნი,
,,ჩახავებურათ'' სწირავენ.
დიდ ბატონთ ფეხებს ულოკვენ,
ჩაგვრენ თავიანთ მოძმესა,
(მათი ამ-გვარი ზნეობა
იქ უკვე დაუმოწმესა!)
ან მოძმეს რათ იკადრებენ,—
ემძიმებიან მიწასა,
ყოყლოჩინობა სჩვევიათ
როგორც კარგ მამლაყინწასა.
რადგანაც გვსურს, არ გაგრძელდეს
მათი ამ-გვარი სენია,
აჩუქე შენი მათრახი!
(მას ბევრი მოურჩენია!)

ორი ფარი.

დ ე პ ე შ ე ბ ი.

(საშეგრელის საგენტო)

აბაშა. საშინლად მძინვარებს ავადმყოფობა ,,კატაობა'', რომელმაც ჯერ-ჯერობით მხოლოდ აბრამიას ცხენები *) იმსხვერპლა. საჭიროა ზომების მიღება.

საჭილაო. მამა ისიდორეს მოჩვენებია, ვითომც ის დ. აბაშაში გადაეყვანონ, ჯაკობია შხებში და ჩოჩია კოტიანეთში. სინამდვილის გასაგებათ ბლალოჩინისათვის რაპორტით მიუმართავს.

ახალ სენაკი. შემნახველ-გამსესხებელმა ამხანაგობამ ენუქიძის კალთებში განუტევა სული.

აბაშა. ბახუსი განაგრძობს ჩვეულებრივ წირვა-ლოცვებს, რასაც ბახუსისტები აღტაცებით ესწრებიან.

ა. სენაკელ ნოქრის უსტარი ეშმაკისადმი.

ეშმაკო, დიდი ხანია
რაც მსურს მოგწერო უსტარი!
როგორც დავიწყებ, დუქანში
მყისვე შემოდის მუშტარი!
ამგვარათ შრომა დიდი გვაქვს,
ვინ გვაცლის მოსვენებასა:
ღილიდან შუალამემდი
ვართ ხაზეინის ნებასა
გარჩევა აქ არ იციან:
უქმე, საქმის-დღე ერთია.
„დუქანში უნდა დალპეთო“
ამას გვიბრძანებს „ღმერთია.“
ჟურნალ გაზეთი ვინ ნახა!
(საფრთხილო გასამხელია!)
თუმც სამკითხველო არსებობს,
მაგრამ რა ჩვენი მშვილია!?
დუქანში დაგვიანება,
არს სახიფათო, საშიშო,
მთელი დღე უნდა ივაჭრო,
საღამოს იანგარიშო!
ახლა შენა გთხოვთ, ეშმაკო,
ჰკითხე ჩვენ ბატონ აღებსა
თუ ამ უზომოს მუქარას
ჩვენთან რათ გაასაღებსა.
ჰა, ეხლაც მისი ფეხის ხმა
მომესმა; მოდის, მგონია!
ვსწყვეტ აქ ჩემს წერილს, თორემა
თუ ნახა, დასაღონია.

ვასო.

---

*) გასაოცარი სენი ყოფილა! «კატაობა» ჰქვია და ცხენებს კი მსხვერპლათ იწირავს! ეშმაკი.

ეგზამენი სტრაჟნიკობის ღირსებაზე.

ურიადნიკი. (მიმართავს სტრაჟნიკობის მსურველს). შენ რა სარწმუნოებისა ხარ?

სტრ. მსურველი. გაჰმამადიანებული ქრისტიანი გახლავარ, ბატონო!

ურიადნიკი. ეს მე ვერ გამიგია!

სტრ. მსურველი. უბრალო საქმეა, ბატონო! ქრისტეს სარწმუნოებას ვაღიარებ, მაგრამ ორი ცოლი კი მყავს.

ურიადნიკი. (იცინის, იცინის, კვდება სიცილით) ყოჩაღ! ყოჩაღ! მოხდენილი პასუხია. აბა ახლა ამიხსენი რას ნიშნავს: ,,მეუფეო ზეცათაო, ნუ გეშინის მცემელო!'' აბა, ნუ აჩქარდები.

სტრ. მსურველი. ეს უბრალო რამეა, ბატონო! როცა სტრაჟნიკი ვისმე სცემს, უფროსი ეუბნება: ნუ გეშინია მცემელო, სცემე რამდენიც გინდა ამისთვის პასუხს არავინ მოგთხოვსო.

ურიადნიკი. აი და ყოჩაღ! აბა ესეც ამიხსენი: ,,მოვედ ჩვენ შორის და წმინდა ყავნ სახელი ჩვენი''. კარგათ დაუფიქრდი!

სტრ. მსურველი. ამას რა დაფიქრება უნდა, ბატონო! მოდი ჩვენთან, ე. ი. სოფელში, და გასწმანდე ჩვენი სახლებიო. ეს თავის თავათ ცხადია. ესენი რომ არ ვიკოდე განა თქვენთან მოვიდოდი?!

ურიადნიკი. ჩინებულია, ჩინებული! შენ მიღებული ხარ! —**კი.**



კერძო დეპეშა.

ბათუმი. ბ. ეშმაკო! მოგეხსენება, რომ ბათუმი ამ ჟამათ ,,სოუქ-სუს' სასაფლაოს წარმოადგენს. აქ ყოლაფერს სძინავს. არ სძინავს მხოლოთ ორ მთავარ მთავარ კონდუქტორებს: ივლიანეს და იოსებს. ესენი ერთი-მეორეს ეჯიბრებიან, რომელმა უფრო დავამციროთ ჩვენი ხელ-ქვეითი, დაბალი მუშა და მოსამსახურებიო; ივლიანე, როგორც ,,დიდ-კაცობაში'' გაცნობილი სჭარბობს იოსებს. იოსები ამ გარემოებამ საგონებელში ჩაგდო; მოსალოდნელია მათ შორის ,,ჯუდი. სეკუნდატათ კალისტრატეს ასახელებენ. გთხოვთ გამოუწეროთ თქვენი მიხედულებისამებრ უკვე ნაცადი საშვალება „სპერმა კუდინი'', თუმც ეს ძველი საშვალებაა, მაგრამ ძველს დროში ეს საშვალება ჩინებულათ მოქმედობდა მაგგვარ ავათმყოფებზე.

„**გარეშე**".

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!*)

„მათრახ. სალამურის" № 13, სწერია: „აბრ. კვირკელია და ეს. ,,ორდანია ციხეში ჩაჯდომით კი არ არიან იმდენათ უყმაყოფილონი. იმათ აწუხებს ის გარამოება, რომ საქვეყნოთ თავი მოსპრეს და ხალხის მომხრეობა დასწამეს-"ო.

ადამიანმა, რომ ადამიანს ცილი დასწამოს, ის უნდა იყვეს ცოტათი მაინც სიმართლესთან დაახლოვებული, თუ ვიტმეს იმ გვარ ცილს დავსწამებთ, რომ მისი ნაცნობი და დაახლოვებულნი არ დაგვდასტურებენ, ამით მგონია ჩვენ ჩვენივე თავს გავაჭუჭყიანებთ, ტყული ცილის დაწამებისათვის. სწორეთ ამგვარ დღეში უნდა იყვეს დღეს ის ჩემი ცილის დამწამებელი. რის საბუთიც ეს გახლავთ: მე ვინც კარგათ მიცნობენ და ჩემთან დაახლოვებულნი არიან, იმათ კარგათაც კი იციან მე ხალხის მომხრეობას თუ სასირცხოო საქმეთ მივიჩენ.

დღეს მე უკუდმართობას ყველგან ვხედავ, და იმას მე ყველგან ვებრძვი როგორც შინ ისე გარეთ და ეს მოქმედება მე ხალხის უთანხმოებათ არ უნდა ჩამეწეროს. მსურს ერთი შეგეკითხოთ; ჩემმა ამ გვარმა საქციელმა თქვენ ასე რატომ გაგაბრაზად. ხომ არ გაქ თქვენ თან დავა რაიმე უკუდმართობაზე თუ დამიჯერებთ სიმართლე მიყვარს, რაშიც მართალი ხართ იმას კი არ წაგართმევთ. მე ციხეს ნამდვილ არ ვსწუხდი. აბა მოისმინეთ: მე იმას ვსწუხდი და დღესაც ვსწუხვარ რომ ჩვენ სულით ისე დავეცით და დავუძლურდით, რომ უკვე მოპოვებულ და ფარგალ შიგნით მომწყდეულ ჩვენ უფლებებსაც ვეღარ ვიტევთ ვერ გვიკისრნია მის და დასაცველად კრინტი დავძრათ და თუ რომელიმე ჩვენგანმა მოინდომა იმის დასაცავათ შებრძოლება, იმას ხომ იუდა გამცემლები შევბოჭავთ-ჩავქოლავთ და ჩავამსხვრევთ.

თქვენ, რომ იმათვინ გეკიცინათ, ვინაც სიმართლე ჯოჯოხეთში ჩაამტვრიენ, ვინაც ხალხს შემოჭედებული ჯადო გაუორკეცა. დღეს კიდე თქვენ მე მიკიცინებთ. მხოლოთ იცოდეთ ამნაირ თქვენ საქციელს ხალხი კარგა გაითვალწინებს.

ა. კვირკელია.

შემოხვეული დეპეშები.

ხობი. სინამდვილეს მოკლებულია ხმები, ვითომც მღვაველი ნესტორს და ნიკო სასანიებს ბახუსინის გავლენით, ხობის „ბალნიცს" აკუშერკის ოთახში შეავრდნა განეზრახოთ.

ახალ-სენაკი. ქვის სატეხი ქარხნის მუშებმა ერთხმად დადგინეს: ექვსი დღე ქვა ვტეხოთ, ხოლო მეშვიდე დღეს, კვირას, ვიქეიფოთ ბატონი ქოქოსაძის სამიკიტნოში. და ერთმანეთს თავები ვუტეხოთო.

---

*) ეს წერილი ი'ეტდება სრულიად უცვლელათ.

რედ.

ჩვეულება რჯულთ უმტკიცესია.

დუმის თავმჯ. გუჩკოვი. ბ-ნო ხომიაკოვო, გთხოვთ საგანზე ილაპარაკოთ.

დეპ. ხომიაკოვი. დეპუტატო გუჩკოვო, თქვენ არა გაქვთ უფლება შენიშვნა მისცეთ დუმის თავმჯდომარეს. გიცხადებთ პირველ გაფრთხილებას.

ნორვეგიელთა მწერალი.

ცნობილი ამერიკელი სატირიკოსი

მ ა რ კ ტ ვ ე ნ ი.

(ამ დღეებში გარდაიცვალა.)

ბიერნსტერნე ბიერნსონი.

ამ ერთი კვირის წინეთ, ხანგრძლივისა და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ნორვეგიელთა მწერალი ბ. ბიერნსონი.

როდესაც რომელიმე უცხოელი მწერლის სახელი ჩვენამდეც მოაღწევს, პატივცემულო მკითხველო, სჩანს ის მართლაც შესანიშნავი და ყურადღების ღირსი ყოფილა. ბ. ბიერნსონიც საქმეც ეგრეა: იმან კარგა ხანია მოიხვეჭა საერთაშორისო სახელი:

ბ. ბიერნსონი დაიბადა 1832 წელს ნორვეგიის პატარა ქალაქ კვიკნეში. როგორც ხედავთ ის უკვე 78 წლის მოხუცი ყოფილა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, უკანასკნელ დრომდე ენერგიულ შრომას ეწეოდა.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბიერნსონი სასცენო ხელოვნებამ გაიტაცა და ჩინებულათ შეისწავლა რეჟისორობა.

1856 წელს დასწერა მან პირველი პიესა „ბრძოლათა შორის“, რომელიც იმ დროს სცენაზე არ მიიღეს და მხოლოდ რამოდენიმე წლების შემდეგ მოიპოვა სახელი. მიუხედავათ ამისა ბიერნსონი განაგრძობდა წერას, უმთავრესათ ნორვეგიელ გლეხთა ცხოვრებიდან. ამ დროს დაწერილია მისი „არწივის ბუდე“, „მამა“ და რამოდენიმე წვრილი მოთხრობები და ლექსები.

1858 წელს ბ. ბიერნსონი დაინიშნა ქ. ქრისტიანიის თეატრის დირექტორათ და ამ მხრივაც დიდი სამსახური გაუწია ნორვეგიის სასცენო ხელოვნებას. ამ ხანებში დასწერა მან „ოკეანი გულდა“,

„მარია სტიუარტი“ და ,,ბოროტი სიგურდი''. მას შეუსრულდა მხოლოდ 30 წ. და უკვე ცნობილი იყო თავის სამშობლოს გარეშეც. მაგრამ ამით თითქო შეჩერდა ბიერნსონის მწერლური მოღვაწეობა. რამოდენიმე წლების განმავლობაში ის სდუმდა, თითქმის დავიწყების გზასაც დაადგა. მაგრამ აი. დაიწყო მეოთხმოცე წლები და ნორვეგიის განახლებულ ცხოვრებასთან ერთად, იმანაც განახლებულის ენერგიით დაიწყო მოქმედება. ამ ხანებში დასწერა მან ,,გაკოტრება'' ,,რედაქტორი'' სატირიული პიესა, რომელშიაც სასაცილოთ იგდებს სკანდინაველ ჟურნალისტებს. ამას ზედი-ზედ მოჰყვა: ,,მეფე'', ,,კაპიტანი მანსანა'', ,,ახალი სისტემა', ,,ლეონარდა'', ,,ხელთათმანი'' და სხვ.

ბიერნსონი ცნობილია, როგორც მწერალი, მასწავლებელი. უმთავრესი განზრახვა მისი იყო ნორვეგიელ ხალხის აღზრდა-განვითარება და ამ მხრივ მან მართლაც დიდი ნაყოფი გამოიღო.

მედიცინური ვასამართლება ოზურგეთში *).

(მოგვყავს მხოლოდ დამცველის სიტყვა და ისიც დიდის შემოკლებით).

დამცველი. ბ ნნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო! მე არა მაქვს განზრახვა თქვენზე მეტევრმეტყველობით, გადაჭარბებითი შთაგონება მოვახდინო. არა! ჩემის აზრით თვით სახე ბრალდებულისა აშკარა სარკეს წარმოადგენს მისი სულიერი ვითარების გასაგებად! შეხედეთ მის ფერმკრთალ, გამხდარ სახეს, დააკვერდით მის საშიშარ თვალებს, ჩაიხედეთ ამ თვალების მღვრიე სიღრმეში, ყურადღება მიაქციეთ მისი არსების კრთომა-კანკალს და თქვენთვის ნათელი იქნება ის არანორმალური სულიერი განწყობილება, რომელშიაც იმყოფება ბრალდებული, ცხოვრების უკუღმართობით დღეს ჩვილ ყრმათა აღმზრდელათ მოვლენილი.

დიახ, პატივცემულნო მსაჯულნო და მოსამართლენო, ჩემი გამიზნული მიზანი მდგომარეობს არა იმაში, რომ დავამტკიცო ბრალდებულის უცოდველობა, მისი სამსახურში სივარგე, მისი ხელობის მის ზნეობასთან შეფერებულობა, არა და ათასჯერ არა! ასე შეუძლია ფიქრი რომელიმე ბიუროკრატიულ ვირთხას და ისიც ბებერს, მხოლოდ ჩემი განზრახვაა ბრალდებულის სულიერ ზნეობრივ მოშლილობას ძირითადი მიზეზები გამოუნახო და მისი მოქმედება მისივე ნება სურვილის გარეშე დავაყენო (ტაში.)

თქვენ ყველას მოგეხსენებათ, თუ რა ღბედურ ხანაში გვიხდება ცხოვრება თანამედროვე ქართველებს და აგრეთვე მთელს კაცობრიობას. ეს არის გამძვინვარებული რეაქციის ხანა, როცა ჩვენი ბიუროკრატიული რეჟიმი...

თავმჯდომარე. ბ ნო დამცველო, გთხოვთ საგანს მედიცინურის მხრით შეეხოთ და არა პოლიტიკურის, ვინაიდან მეც სამსახურის კაცი ვარ, გამიგებენ და ხომ იცით გამომაგდებენ. გთხოვთ!

დამცველი. ვეცდები, რამდენათაც კი შესაძლებელია არ გადავსცდე მსჯელობის საგანს. ამგვარათ ბ-ნნო მოსამართლენო და ნაფიცნო მსაჯულნო, ბრალდებულის მასწავლებლობა, მისი აღმზრდელობა, ორგანიულათ შეკავშირებული მის უსწავლელობასა, უზრდელობასა და აგრეთვე ფსიხიურ განქიქებასთან, რაღაც დიდი და მიუტევებელი დანაშაღლია. ამიტომაც არ მიკვირს პროტესტი ოზურგეთელ მოქალაქეთა და მით უმეტეს ფოსტის მოხელეთა, რომლებსაც ზე... ზე... ზე... ზე-კაცური ყვირილი ბრალდებულისა სამსახურის ასრულებასაც კი უშლის. მაგრამ ვაცხადებ საჯაროთ და საყურადღებოთ, რომ ყოველივე ეს არ არის განზრახ ჩადენილი დანაშაული, არ წარმომდინარეობს მისი ნება-ყოფლობითი მოქმედებისაგან, არ არის დანაშაული გამიზნულ-მიზნობითი, არამედ არის ნაყოფი ავათმყოფი ინდივიდუმის უნებო მიდრეკილებისა და არც უნდა დაისაჯოს ეგზომ მძიმეთ, როგორაც ამას ბრალმდებელი მოითხოვს (ტაში.)

თუ ჩვენ არა გვსურს სასჯელი მხოლოდ შურისძიებისათვის ყრმათა დამახინჯების გამო, თუ ჩვენ ზერელე არ შევხედავთ ბრალდებულ მასწავლებლის ,,მოქმედებებს'', ანუ უკეთ ვსთქვათ, შეუგნებელ ნამოქმედარს, თუ ჩვენ ნათლათ შევისწავლით მის არა ნორმალურ ფსიხიურ მდგომარეობას, მაშინ აშკარა იქნება თქვენთვის, რომ ბრალდებულის ადგილი არის საავათმყოფო და არა საპყრობილე. (ხანგრძლივი ტაში).

ნაფიც მსაჯულთა განაჩენით ბრალდებულს მიესაჯა აღნიშნულ საავათმყოფოში გაგზავნა, მაგრამ ვირთხები საქმის განსაჩივრებას ეპირებიან სადაც ჯერ არს.

ჯილეხი.

---

*) მოდით ახლა და ნუ იტყვით: ჩვენი ხალხი წაბაძვლობით ცხოვრობსო! აქ „ლიტერატურული“ გასამართლება, იქ „მედიცინური“, აგერ კ ოდვ, (სარედაქციო ჩანთაში) „ზოოლოგიური“ გასამართლების რეცენზია გვაქვს შემდეგისათვის შემონახული; იმედი გვაქვს მოგვივა „ფიზიკური“ გასამართლება სათავად-აზნაურო გიმნაზიიდან, „აგრონომიული“ გასამართლება, დეპუტატთა საკრებულოდან და ათასი სხვა.

ეშმაკი.

მათრახის ფოსტა.

სადმე. პროვინციელ კოლოს თქვენა გვთხოვთ: „ჩემი გვარი და სახელი, ან სად ვარ მასწავლებლათ, არ განცხადოთო“. ამა: რადა თხოვნა სწორადა: განა რა საკადრისია თქვენი მასწავლებლობის საკარათ გამოცხადება!

თფილისი. აკ. სირაძეს. ჩვენ არაფერს გისუფდურებთ, მაგრამ არ ვიცით ის „ახალგაზრდა ქვრივი“ რას გეტყვის ასეთი „ძველნისათვის:“

„ჰე! განუსჯელო
უბედურთ შვილო
უბედურებით ცუდ დროს შობილო...
უკანასკნელით
და უმეცრებით
შენ თვის შვილებით არ დაწყობილო...“

უმეცრებათ აიხსნება აგრეთვე თქვენი აკრასტიხიც!

სადმე. სამსონ რუსიაშვილს.

„გაზაფხულდა ტკბ-ამწვანდა,
ფოთოლს ისხამს ხურმუხტისა
სასიამო ნიავი ჰბერს
არე მარეს დადუმილსა“

სამწუხარათ ეს ისე გავს „გურიის ცხოვრებას“, როგორც თქვენ ბოეტს.

თელავი. რუის-პირელს. გამოცანებს უოუოდ ახსნა განმარტებაც თან უნდა ახდდეს.

ხონი. მუხის-ძირელს. ახირებული დეკსია თქვენი „გამოგიხსნათ არსება.“!

„ვერ ვიხსენი მტრისაგან
ჩემი სატრფო ნეტარი,
ერთი მითქარ გენაცვა
სამართალი სად არი?“

უნდა სამართალი „გითქრათ“, რომ თქვენი სატრფო მტრის ხელში მართლაც უფრო ნეტარი იქნება და რადა სწორია მის დასახსნელათ ასეთი „მითქარიანი“ დეკსების წერა?

ხონი. თხაკალიაშვილს. ჩვენ ადარ გვეგონა თუ ცოტხალი იყო ეიო! სჩანს თქვენს ფსევდონიმს არ ანხორციელებთ. თვით მკვლელობა ახლა ხშირი მოგლენა შეიქნა აბაშა. ნერგს. ვერ გავარჩეთ ნაწერი.

იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1909 წლის „ალმანახები“ 7 ნომერი
და „მათრახი და სალამური“ 29 ნომერი
ერთად შეკრული . . . . 2—50 კ.

წელიწადი **1910 წლისათვის** მეოთხე.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ქურნალზე

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ქურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ქურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს, ავვისტოს პირველ რიცხვებშ ქურნალთან ერთათ

პრემიათ გაეგზავნება

ახალი პრეგული

ქურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.
ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიანი.

რა დიდი პატივია!



გუჩკოვი: ხედავთ რა პატივის ღირსი ყამხადეს: მე ფუნდა ავიყვანო სახალხო წარმომადგენლობა ამ სიმაღლეზე!

(ვერმოიგონებია ჩასვლა ფუჩნიკ-ვერეთელი.)

ვ. ჭუბინიშვილი ენას იმახვილებს!

გვაქვს თუ არა კონსტიტუცია?!

ორივე ერთმანეთი ერთმანეთს მაგივრად ჯ. ბილოსოვლა სხვა-სხვა ძალაძალში: ვინმეს, ადამიანი, იარაღის აღებას მიჭყო ხელი, მეც თავი დავიცავი ან გამოვეთხოვე.

გუჩკოვი მინისტრის დერეფანში დაეგვიანა. ჩვენს შეკითხვაზე მეუბნება ან წარჩაჩარა: „თუ ორმოცი ფანათ ჩაყვა, ფეთხეთ აქ ამის შესახებ!“





ფუჩ

მესამე წოდების წარმომადგენლობა წყნარდებოდა მიპასუხა: „სხვა-სხვა. ვინაი შეიძლება იყოს კონსტიტუციაზ!“

ვ. ჭუბინიშვილისა, ჩემგან დაძაბულ-დაბეჭილ მიზეზთა გამო ინტერვიუ არ მოხერხდა.

მწარე მოგონება.

— ეჰ! ეხთხეული მეც კარი ვიყავ, მეც ძალი მეხუთა! (*)

(*) ვინც ამ გამოსვლაზე ახსნილ იყო ჯილოთ მიეცემა ერთი წიგნი ჩვენი გაზეთისა.)